

## საქართველოს პარლამენტის დადგენილება

### საქართველოს 2000 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს 2000 წლის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მიზნობრივ ორიენტირებს საფუძვლად დაედოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ოფიციალური საპროგნოზო პარამეტრები. რომელთა შესაბამისად 2000 წლისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა განისაზღვროს 4%, ხოლო წლიური ინფლაცია - 8%.

2. 2000 წელს გაგრძელდეს თავისუფალი მცურავი კურსის რეჟიმი. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი ჩამოყალიბდეს შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის საფუძველზე. სავალუტო პოლიტიკამ უზრუნველყოს ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრი კონიუქტურული რყევის შედეგად მოსალოდნელი ნეგატიური მოვლენებისაგან საქართველოს საფინანსო სისტემისა და მთლიანად ეკონომიკის დაცვა, საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების ორი თვის იმპორტის ეკვივალენტის დონეზე შენარჩუნება და ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება.

3. 2000 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გასაგარებლად გამოიყენოს მთავრობის წმინდა დავალიანების, წმინდა საშინაო და წმინდა უცხოური აქტივების, ასევე სარეზერვო ფულის ზრდის რაოდენობრივი პარამეტრები;

ა) ლარის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნების მიზით განხორციელდეს სარეზერვო ფულის მასის ზრდა 16,3%-ით, ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიზნობრივი ორიენტირების შესაბამისად;

ბ) განახორციელოს ფულადი მასის ზრდა ფულის არაინფლაციური მიწოდებით მთავრობისა და კომერციული ბანკების დაკრედიტების გზით, მდგრადი საბანკო სისტემის შექმნითა და მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის გათვალისწინებით უზრუნველყოს სადეპოზიტო ბაზის გაფართოება და შესაბამისად ფართე ფულის მასის ზრდა 20,5%-ით;

გ) მიმოქცევაში ნალდი ფულის ზრდისა და ინფლაციური მოლოდინის გაძლიერების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაკრედიტება განაპხორციელოს "საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მაჩვენებლის შესაბამისად, იმავე კანონის მე-19 მუხლის მე-16 პუნქტის გათვალისწინებით;

დ) კომერციული ბანკების დაკრედიტების მიზნით უპირატესად გამოიყენოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით (ლომბარული კრედიტი,

რეპოპერაციები) კრედიტების გაცემა. საკრედიტო რესურსები გამოყენებულ იქნეს ისე, რომ 2000 წლის ბოლოსათვის კომერციული ბანკების დავალიანებამ არ გადააჭარბოს 12 მლნ ლარს.

#### 4. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა:

ა) თავისი მონაწილეობა შიდა სავალუტო ბაზარზე შემოფარგლოს ეროვნულ ვალუტაზე კონიუნქტურული მოთხოვნის დროს უცხოური ვალუტის ჭარბი მიწოდების პირობებში უცხოური ვალუტის შესყიდვით. გააგრძელოს შიდა სავალუტო ბაზრის შემდგომი სრულყოფა, დაასრულოს ბანკთაშორისი სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, სრულყოს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ფუნქციონირების რეჟიმი, აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმები;

ბ) გააგრძელოს საპროცენტო განაკვეთების დონის შემდგომი შემცირებისათვის პირობების შექმნა კომერციული ბანკების ინსტიტუციური და მათი საქმიანობის ზედამხედველობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრულყოფით, ამავე მიზნით უზრუნველყოს მინიმალური სარემბერვო მოთხოვნების ნორმის პერიოდული გადასინჯვა;

გ) ღია ბაზარზე ოპერაციების დამკვიდრებით უზრუნველყოს ფულად-საკრედიტო რეგულირების ახალი ინსტრუმენტების ათვისება;

დ) საბანკო სფეროში ლიკვიდურობის ოპერატიულად მართვისა და კომერციული ბანკების დეპოზიტებზე რიცხული ნაშთების ეფექტიანად გამოყენების მიზნით განახორციელოს კომერციული ბანკების მინიმალური რემბერვების ანგარიშისა და საკორესპოდენტო ანგარიშების ეგაპობრივი გაერთიანება;

ე) საბანკო დაწესებულებების მიერ საშუაშაველო ოპერაციების მოცულობის გაზრდისა და კონკურენტული გარემოს შექმნის მიზნით 2000 წლის ბოლოსათვის კომერციული ბანკების განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვროს 5 მლნ ლარით;

ვ) კომერციული ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობისა და მათ მიმართ მოქალაქეებისა და ეკონომიკური სუბიექტების ნდობის განმტკიცების მიზნით უზრუნველყოს, რომ 2000 წლის ბოლომდე დასრულდეს საბანკო სისტემაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა;

ზ) გააგრძელოს მუშაობა საბანკო კანონმდებლობის შემდგომი დახვეწისათვის

საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე

*მურაბ ქვანია*

თბილისი,  
2000 წლის 10 მარტი  
N 203 - III